დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

თვითშეფასების ანგარიში

(2016-2017 სასწავლო წელი)

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2016-2017 სასწავლო წლის საანგარიშო პერიოდის თვითშეფასების ანგარიში

შესავალი

მიმდინარე წლის ხარისხის თვითშეფასებისთვის შემუშავებული გეგმის ფოკუსად განისაზღვრა სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება სასწავლო პროგრამების დიზაინისა და იმპლემენტაციის კონტექსტში; მონიტორინგისა და შეფასების მეშვეობით, რათა დარწმუნებული ვიყოთ, რომ სტანდარტები შესრულებულია და, ასევე იმ არეთა იდენტიფიცირებისთვის, რასაც მეტი ყურადღება სჭირდება; ხარისხის უზრუნველყოფის (ხუ) სამსახურმა გარკვეული ყურადღება დაუთმო მიღებული ინფორმაციის (2015-2016 სასწავლო წლის თვითშეფასების და მიმდინარე შეფასებით მიღებული) სტრატეგიულ გეგმაში ჩართვის მნიშვნელობას, ასევე აკადემიურ საზოგადოებასთან გამოვლენილ პრობლემებზე კომუნიკაციას.

მეთოდოლოგია

ხარისხის შეფასების მეთოდოლოგიად გამოყენებული იყო რელევანტური ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და გამოყენება დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის (დტსუ) პროგრამათა და სხვა აქტივობების ეფექტური მენეჯმენტისთვის. ინფორმაცია გულისხმობს სხვადასხვა ფორმის გამოყენებას, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების ჩათვლით: მაგალითად ინსტიტუციური მონაცემების მიღება, უკუკავშირის შეგროვება კითხვარების და ფოკუს ჯგუფებთან კომუნიკაციით. ანალიზისა და შეფასებისთვის გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის ინდიკატორები: ინდიკატორები გამოყენებადი ლეგიტიმაციისთვის (ანგარიში აქტივობების შესახებ), შეფასებისთვის (შედეგების მონიტორინგის), დისკუსიისთვის (მონაცემთა ინტერაქტიული გამოყენება) და გადაწყვეტილების მიღებისთვის (მონაცემთა გამოყენება პროცესის შესაცვლელად: შეგროვებული მონაცემები სტრატეგიული განვითარების ინფორმირებისთვის, რაც დაეხმარება უნივერსიტეტს გაანალიზოს რამდენად მოქმედებს იგი თავისი მისიისა და მიზნების შესაბამისად).

1. კურიკულუმის განვითარება

კურიკულუმის განვითარება სისტემატური და ინფორმირების გზით პროგრამათა ხარისხის ძირითადი ელემენტია და ამ მხრივ მნიშვნელოვანია:

1. პროგრამის მიზნებისა და ჩართული სწავლის შედეგების განსაზღვრა, განმარტება რა უნდა ისწავლონ და რას მიაღწიონ
2. შინაარსის განსაზღვრა; მნიშვნელოვანი თემების შერჩევა და პროგრამის სტრუქტურის დაწესება (დადგენა)
3. სწავლების მეთოდებისა და ხერხების შერჩევა და განვითარება
4. ლიტერატურისა და სხვა მასალების შერჩევა
5. როგორ (რა გზით) იქნებიან სტუდენტები შეფასებული რათა დასაბუთდეს სწავლის შედეგების მიღწევა.

პროგრამის (ასევე მისი სასწავლო კურსების) სწავლის შედეგებზე ფოკუსირებას (რაც ასევე სტუდენტ-ცენტრული პოზიციაა და შესაბამისად ძალზე მნიშვნელოვანი) მრავალმხრივი დადებითი შედეგი აქვს: პროგრამათა და შინაარსის ტრანსპარანტულობის ზრდა; მასწავლებლისა და სტუდენტების მხრიდან მოლოდინების ნათელი გაცნობიერების შესაძლებლობა; შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრაში დახმარება; ასევე გავლენა მობილობაზე, წინა სწავლების აღიარებასა და სიცოცხლის განმავლობაში სწავლაზე.

დტსუ-ში აკადემიური შტატის ტრენინგი სწავლის შედეგების გამოყენებში, ჩვენი აზრით, უნდა გულისხმობდეს (i) სპეციალურ ტრენინგ კურსს პედაგოგიკაში, რაც შემუშვებულია და მიეწოდება (ჯერ მხოლოდ დოქტორანტებს) სამედიცინო განათლების ცენტრის (სგც) ბაზაზე; და ჩვენი შეფასებით, რელევანტურია, (სწავლის შედეგების გამოყენების თვალსაზრისით), რამდენადაც ითვალისწინებს სწავლისა და სწავლების პროცესის ყველა ასპექტს; კერძოდ, პროგრამის დიზაინსა და დაგეგმვას, სასწავლო ამოცანების, სწავლების მეთოდების შერჩევაზე სწავლის შედეგების (ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით) გავლენას და რელევანტური შეფასების მეთოდებზე ფოკუსირებას.

ამას გარდა ჩვენი რეკომენდაცია პედაგოგიური პროცესის ხელშეწყობაში იქნება ე.წ. peer-დაკვირვება სწავლების განმახორციელებელი შტატი განიხილავს და თანხმდება როგორ დგება კურსის ფარგლებში სწავლის შედეგები (პრე-ობსერვაციული სესია, იხ. 2016-2017 სასწავლო წელს კურიკულუმის რევიზირების (სწავლების საბაზისო ეტაპი) მიზნით ჩატარებული დისციპლინარული შეხვედრების ანგარიში), როგორ ხდება ჯგუფში მათი გამოყენება (დაკვირვების პერიოდი) და როგორ ხდება მათ აღიარება პედაგოგებისა და სტუდენტების მიერ (პოსტ-ობსერვაციული პერიოდი). ყველა ზ/ა ნაბიჯებით აქტივობები დაწყებულია; მომავალში დაგეგმვა და განხორციელება სჭირდება ჯგუფში მათ გამოყენებას - ე.წ. „დაკვირვების პერიოდი“ და მათ შემდგომ განხილვას - ე.წ. „პოსტ-ობსერვაციული პერიოდი“

1.1. კურიკულუმის რევიზირება

კურიკულუმის რევიზირების მიზნით მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი და ჩატარებული შეხვედრების შედეგები (ასახულია შესაბამის ანგარიშსა და სამოქმედო გეგმაში), ხუ-ის ჯგუფის შეფასებით შეიცავდა სწავლებაში ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვან შემდეგ ელემენტებს; (i) სტრუქტურული მიდგომის თვალსაზრისით: ხელს უწყობდა შტატის ინფორმირებულობასა და კონსულტირებას, სწავლისა/სწავლების სიტუაციების განხილვას, ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებისა და პროგრამის სტრუქტურის/შინაარსის განხილვას; ასევე ეხებოდა (შეძლებისდაგვარად) ინფრასტრუქტურული საჭიროებების განსაზღვრას;

(ii) კულტურალური მიდგომის თვალსაზრისით: უზრუნველყო ე. წ. „არენა“ დიალოგისთვის (პირისპირ და e-საშუალებით), შტატის განვითარების შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი იყო, თუმცა დტსუ-ს ამ მხრივ მუშაობა ჯერ კიდევ სუსტია სისტემატური შეფასების (სტრუქტურული მიდგომის სახეობა) ახალი კადრის შტატში ჩართვის პროცესში საჭირო ხელშეწყობისა და სწავლებაში სტრატეგიის განვითარების (კულტურალური მიდგომის სახეობები) ნაწილში.

რელევანტური იყო დაგეგმილი სამუშაო შეხვედრების (i) ფორმა და (ii) მონაწილეები; (i) შეხვედრებს ჰქონდა ფორმირებული დღის წესრიგი ფაცილიტატორით (კითხვებისა და დისკუსიის სტიმულირებისთვის), მდივნით (ფოკუს ჯგუფის მოსაზრებებისა და მოთხოვნების ანგარიშსა და სამოქმედო გეგმაში „დასაფიქსირებლად“), რამაც ვორქშოფებისათვის ასევე ზოგადად ლიმიტირებული დროის (60-დან 120 წუთამდე) ეფექტური გამოყენების შესაძლებლობის შექმნა.

(ii) მონაწილეთა შერჩევის თვალსაზრისით დაგეგმვა იყო შესაძლებელთაგან მაქსიმალურად ზუსტი; კერძოდ,

- ჰომოგენურობა და განსხვავებულობა: ჯგუფი ჰომოგენური იყო დისციპლინარული თვალსაზრისით, ამასთან ჩართული იყვნენ სტუდენტებიც და ადმინისტრაციის წევრებიც
- სტატუსი: მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო რომ ჯგუფს სხვადასხვა სტატუსის მონაწილენი ჰყავდა, მაგალითად ახალგაზრდა და გამოცდილი პედაგოგები, დეკანი, კოორდინატორი, სტუდენტები
- რიცხვი: საკმარისი იყო (7-დან 15-მდე) მოსაზრებების საკმაოდ ფართო ჩამონათვლის მისაღებად და ამავდროულად დისკუსიისთვის უხშირესად მოხერხებული, რაც ყველას აძლევდა საუბრისს შანსს.

შესაბამისად, სამუშო შეხვედრებმა საშუალება მოგვცა სწორი დაგეგმვის (ნახევრად-სტრუქტურირებული გამოკითხვა; სტუდენტთა, მასწავლებელთა და ადმინისტრაციის მონაწილეობა) და შეხვედრების სწორი ორგანიზების (ფორმა, ა. შ.) მეშვეობით მიგვეღო

ხარისხობრივი უკუკავშირი პროგრამის დიზაინსა, სწავლასა და სწავლების ხარისხის საკითხებზე. ეს ხარისხის სისტემაში ითვლება როგორც უფრო „მიზანზე მორგებული“ და მნიშვნელოვანი უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის განვითარებისთვის

ძლიერი მხარეები

- კურიკულუმის (სწავლების საბაზისო ეტაპი) და მისი სასწავლო მოდულებისა და კურსების რევიზირება, შესაბამისი ფორმატით და შინაარსით

სისუსტეები

- სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობების „დუნე“ მიმდინარეობა

განვითარების შესაძლებლობები

- კურიკულუმის კლინიკური და პრაქტიკის (მეექვსე კურსი) სასწავლო პროგრამებში რევიზირების შესაბამისი ფორმატის განსაზღვრა და ჩატარება

1.2. პროგრამის და სტუდენტთა კვლევითი კომპეტენციების განვითარებაზე ჩატარებული აქტივობათა ანალიზი

1.2.1. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მეციერების კურსის გაძლიერება მოხდა 2 მიმართულებით: (1) სასწავლო კურსის რევიზირება და ახალი სასწავლო ფორმატის შემოტანა და მისი (სამეცნიერო კომპონენტის) განვითარება (2) ორგანიზაციული გაძლიერების თვალსაზრისით.

(1) სასწავლო კურსი ამჟამად მოიაზრებს 4 ნაწილს: სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 1 - რევიზირებულია, პრაქტიკული მუშაობის ნაწილში „ჯორნალ ქლაბის“ ფორმატში (დადასტურება: რევიზირებული სილაბუსი-სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 1); სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 2 (დადასტურება: რევიზირებული სილაბუსი-სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 2) - რევიზირებულია, პრაქტიკული მუშაობის ნაწილში ჯორნალ ქლაბის ფორმატში; სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 3 - ფოკუსირებულია კვლევის ეთიკის საკითხებზე და ცვლილება განიცადა მხოლოდ ანტიპლაგიარიზმის სისტემის ტექნიკური გამოყენების სწავლების ნაწილში (დადასტურება: რევიზირებული სილაბუსი-სამეცნიერო კვლევის საფუძვლები 3); სამეცნიერო პროექტების წერა - შემუშავებულია და პილოტირებულია ერაზმუს+-ით დაფინანსებული “Project Actors Capacity Training in Caucasus“ (TEMPUS project number 544047-TEMPUS-1-2013-1-GE-TEMPUS-JPGR; 01-12-2013- 29-02-2016) პროექტის ფარგლებში (დადასტურება: სილაბუსი-სამეცნიერო პროექტის განაცხადის შემუშავების საბაზისო პრინციპები), ინფორმაცია განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრს მიწოდებული აქვს გასული წლის საანგარიშო პერიოდში.

ამასთან „ჯორნალ ქლაბის“ ფორმატში სტუდენტთა აქტიური ჩართულობის, დროის და ფორმატის მენეჯმენტის გაიოლების მიზნებისთვის შექმნილია ჩართულ სტუდენტთათვის სასარგებლო ორი სახელმძღვანელო: „ჯორნალ ქლაბში მოხსენებისა და დისკუსიისთვის“ (დასტურდება: სახელმძღვანელო „ჯორნალ ქლაბში“ მოხსენებისა და დისკუსიისთვის) და „დასკვნის (ერთგვერდიანი) ნიმუში სტატიის კრიტიკულ მიმოხილვაზე“ (დასტრუდება: ფორმა-დასკვნა სტატიის კრიტიკულ მიმოხილვაზე); ასევე შემუშვდა ტუტორთა (სამეცნიერო ტუტორი) მომზადებისთვის სილაბუსი: „ჯორნალ ქლაბის ფორმატში სამეცნიერო სემინარის წარმართვა“ [დასტურდება: ხუ სამსახურის ოქმი 11 (2016-2017 სასწ. წ. 27 დეკემბერი].

კურსის განვითარების მიზნით ჩატარებული სამუშაო, რევიზირებული სამეცნიერო კურსები, მისი ეფექტური ჩატარებისთვის სტუდენტთა დამხმარე საინფორმაციო სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ტუტორთა მომზადების კურსი დადებითად შეფასდა კურიკულუმის კომიტეტსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ; ცხრილში ჩართვა მოხდება 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან; მანამდე რამოდენიმე სემინარის პილოტირებაა დაგეგმილი სხვადასხვა კურსის სტუდენტებთან.

(2) დმ-ის პროგრამის სამეცნიერო კომპონენტში განვითარება ასევე ხელშეწყობილია სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების (SYSSA) აქტივობით; წარმატებით ჩატარდა ყოველწლიური ტრადიციული „ნობელის დღე“ - სამეცნიერო სესია და ასევე ამ სასწავლო წელს პირველად სტუდენტთა ინიციატივით დაარსდა და ჩატარდა „დნმ-ის დღე“ (დასტურდება: კონფერენციის დღის წესრიგით); რაც მათ შორის ხელს უწყობს სტუდენტებში სამეცნიერო კვლევის ინტერესის გაღვივებას თანამედროვე სამეცნიერო ინფორმაციის გაცნობის ჩვევის გამომუშვებასა და საკუთარი კვლევების დაგეგმვისა და განხორციელებაში მათი მოტივაციის ზრდას.

უნივერსიტეტმა შეიძინა ტურნიტინის პლაგიარიზმის აღმომჩენი სისტემა, რაც იძლევა რიგ სასწავლო მოდულებში და/ან კურსებში სტუდენტისგან რეფერატის და/ან სხვა ნაშრომის „უსაფრთხოდ“ მოთხოვნის (დავალება) და შეფასების საშუალებას; შემუშვებულია მისი გამოყენების ინსტრუქცია „სტუდენტსა“ და „პედაგოგზე“ მორგებული [დასტურდება: ხუ ოქმი 3 (2016-2017 სასწ. წ. 5 აპრილი)].

1.2.2. სადოქტორო პროგრამათა და დოქტორანტთა კვლევითი კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი დამატებითი ღონისძიებები:

- დტსუ-ს დოქტორანტებს ჰქონდათ საშუალება ჩართულიყვნენ C-COMEND (ერაზმუს+-ის პროექტი ევროპელი დოქტორანტებისთვის) პროექტით გათვალისწინებულ ტრენინგში; ევროპელი კოლეგების მიერ, წარდგენილი აბსტრაქტების მიხედვით, შეირჩა დტსუ 2 დოქტორანტი, რომლების მიწვეულნი იყვნენ მანჩესტერში, ჩაუტარდათ ტრენინგი გამოყენებითი (Translation Medicine)

მედიცინის საკითხებზე და ასევე მიიღეს სასარგებლო რჩევები და რეკომენდაციები საკუთარი კვლევითი პროექტებისთვის [დასტურდება: ხუ ოქმი 10 (2016-2017 სასწ. წ. 5 დეკემბერი)]

- დტსუ-ს 3 სტუდენტი მონაწილეობდა აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში აშშ ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ ვორქშოფებში; გარდა თეორიული და პრაქტიკული სწავლებისა, დოქტორანტებს ჰქონდათ საკუთარი კვლევის შედეგების განსჯის საშუალება და მიიღეს ამერიკელი ექსპერტებისგან რჩევები და რეკომენდაციები [დასტურდება: ხუ ოქმი 4 (2016-2017 სასწ. წ. 10 მაისი)]

- გაიზარდა უცხოელი ექსპერტების თანამონაწილეობა დოქტორანტთა მომზადებაში, კერძოდ გასული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დოქტორანტთა თანახელმძღვანელობაზე უნივერსიტეტმა გაფორმა 4 ხელშეკრულება.

- გაფორმდა ხელშეკრულება სამედიცინო განათლებაში უცხოელ ექსპერტ პროფესორ ნაბილ ზარისთან, რომელიც მათ შორის კონსულტირებას გაუწევს სამედიცინო განათლების ნოვატორული განვითარების სამეცნიერო საფუძვლების მიმართულებით დტსუ-ს 3 დოქტორანტის სამეცნიერო კვლევას (დასტურდება: ხელშეკრულებებით)

1.3. კლინიკური და პროფესიონალური უნარების განვითარების ხელშემწყობ აქტივობათა ანალიზი

1.3.1. სამედიცინო პროგრამებში პროფესიონალიზმის სწავლება და პროფესიონალური ქცევის შეფასება თანამედროვე სამედიცინო განათლების ერთერთი რთული საკითხია; ითვლება, რომ მედიკოსი სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური პროგრამების შექმნა (რაც მეთოდურად დასაბუთებული მიზანმიმართული მუშაობის ორგანიზებას მოითხოვს) მნიშვნელოვანწილად აუმჯობესებეს სამედიცინო განათლების ხარისხს. დტსუ-ს სამედიცინო განათლების ცენტრთან (სგც) ერთად შემუშვებული პროექტის ფარგლებში ჩატარდა პროფესიონალიზმის ცნებასთან ასოცირებული ქცევებისა და მახასიათებლების სისტემატიზაციის პირველი კვლევა; იგი გულისხმობდა პრაქტიკოსი ექიმების აზრის კვლევას და სამიზნე აუდიტორიისგან მოითხოვდა, პროფესიონალიზმის მახასიათებლების (85 ელემენტი) შეფასებას; პროფესიული ქცევის და ვალდებულებების ტიპებსა და სიტუაციურ ამოცანებზე პასუხს; და ასევე პროფესიული განვითარების, ქცევითი გამოცდილების, სამედიცინო შეცდომებზე რეაგირების, ა. შ. საკითხებში მათი გამოცდილების შესახებ კვლევას. კვლევა გრძელდება რესპოდენტთა რიცხვის გაზრდის

აუცილებლობის გამო (ამჟამად 31 რესპოდენტია), თუმცა ამ ეტაპზე უკვე დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს პროფესიული იდენტობის განვითარების მიზნით სტრატეგიის შემუშვების და კვლევების გაგრძელების აუცილებლობა (დანართი 14).

1.3.2. გაგრძელდა სტუდენტთა აზრის კვლევა „სად“ და „რა დონეზე“ ეუფლებიან დმ პროგრამის სტუდენტები ღირებულ პროფესიულ უნარ-ჩვევებს; კვლევის შედეგების მიხედვით დაიგეგმა დმ-ის პროგრამის რევიზირების „სამიზნეთა“ ნაწილი. ჩატარდა შეხვედრები პროგრამის საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების აკადემიურ პერსონალსა, ადმინისტრაციასა და სტუდენტების მონაწილეობით (იხ. ქვემოთ „კურიკულუმის რევიზირება“); დაგეგმილია ივნის-ივლისის თვეში შეხვედრების ჩატარება კლინიკური სწავლების ეტაპის აკადემიური შტატის მონაწილეობით (დასტურდება: ანგარიშით).

1.3.3. 2016-2017 სასწავლო წლის I სემესტრიდან PBL-ტუტორების მიერ შემუშავდა სპეციალური ფორმები სტუდენტთა მიერ ჯგუფში მუშაობისას თვით- და ურთიერთ-შეფასებისთვის; კვლევის პირველადი შედეგები უმნიშვნელოვანესი იყო ჩართული და ასევე დანარჩენი აკადემიური შტატისთვის გაეაზრებინა PBL ფორმატში სტუდენტთა მუშაობის რიგი, მათ შორის მომავალ ექიმთა უწყვეტი პროფესიული განვითრებისთვის მნიშვნელოვანი (საკუთრი შესაძლებლობების და პროგრესის თვითშეფასება) საკითხები; რამდენადაა სტუდენტთა თვით-შეფასება ფაკულტეტის (ტუტორის) შეფასების შესაბამისი. კვლევამ შეაჯამა I სემესტრში მიღებული მონაცემები: იგი გრძელდება თუმცა იძლევა შემდეგი დასკვნებისა და რეკომენდაციების გაკეთების საშუალებას:

დასკვნები

- PBL ფორმატში მუშაობისას „თვითშეფასებასა“ და „თანასწორთა შეფასებაში“ „ვარჯიში“ - სტუდენტისთვის ამ სასწავლო ფორმატის ერთერთი დამატებითი „სარგებელია“:
  რამდენადაც იგი იძლევა ასეთი შეფასებების ჩატარების შესაძლებლობას (კითხვარი საკმაოდ „მოკლეა“, „გასაგები“, „დიდი დრო არ მიაქვს“, „უსაფრთხოა“ - გავლენა არ აქვს საბოლოო შეფასებაზე)

- PBL-ში ტუტორისა და PBL მონაწილეთა შეფასებათა (თვით- და თანასწორთა შეფასება) შორის თანხვედრას გავლენა არ აქვს თვითკრიტიკისა (თვითვალდებულება) და თანასწორთა მიმართ კრიტიკის („ჯგუფის წევრს ევალება“) ზრდაზე. ჩვენი მონაცემებით:
  (i) შეფასებათა მაღალი თანხვედრის პირობებში (ჯგუფში კონტრიბუციისა და ხარისხიან დისკუსიაში) სტუდენტის თვითვალდებულება (მაშინაც კი, როცა ისინი PBL-ისთვის თავს „უკეთ მომზადებულად“ თვლიან) უფრო მაღალია, ვიდრე მათი „მოთხოვნა“ ჯგუფის წევრების მიმართ - ჯგუფის და/ან წევრების **მახასიათებელი**

(ii) შეფასებათა ყველა კატეგორიაში დაბალი თანხვედრის (თვით- და peer-ის, peer და tutor-ის, self და peer-ით შეფასებათა საშუალო მონაცემები) პირობებში „თვითკრიტიკა“ შემცირდა „თანასწორთა კრიტიკის“ ზრდის ფონზე - ჯგუფის და/ან წევრების **მახასიათებელი**

➢ PBL ფორმატში მუშაობისას (შესაძლოა სხვა ფორმატში სწავლის დროსაც) სტუდენტთა „გამოცდილებას“ (იგულისხმება PBL-ში სტუდენტთა ჩართულობის „ხანგრძლივობა“) გავლენა არ აქვს სტუდენტთა მიერ PBL-ში კონტრიბუციის, ჯგუფში ადაპტაციასა და ხარისხიანი დისკუსიის, PBL-ისთვის (ჯგუფური მუშაობისთვის) მომზადების ვალდებულების გაცნობიერებაზე;
ექიმის პროფესიული საქმიანობისთვის უმნიშვნელოვანესია და ჯგუფის და/ან მათი წევრების „უნიკალურ“ ***მახასიათებლად*** *შეიძლება ჩაითვალოს*

პრაქტიკული რეკომენდაციები

▸ კვლევის დიზაინი, კითხვარი, მისი PBL-ფორმატში იმპლემენტაცია და მონაცემთა ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დმ-ის პროგრამაზე პასუხისმგებელმა პირებმა გააცნობიერონ რამდენად შეუძლიათ სტუდენტებს მათ მიერ ჩატარებული სამუშაოს თვით-შეფასება და რამდენადაა ეს ფაკულტეტის შეფასების შესაბამისი
▸ იძლევა საშუალებას დაიწყოს სტუდენტის (როგორც მომავალი ექიმის) ინდივიდუალური შეფასებისთვის მახასიათებლების შემუშვება უკუკავშირის მიზნით და განვითარების შესაძლებლობისთვის, ასევე გამოყენებული იქნას „დიპლომის დანართის“ ან სხვა დოკუმენტებში ასახვის მიზნით
▸ შეფასების შედეგები შესაძლოა სასარგებლო იყოს ტუტორისთვის უკუკავშირის მიღებასა და შეფასებაში განვითარებისთვის (დასტურდება: ანგარიშით)).

1.3.4. დმ ე-პდ-ის პროგრამაში VI სემესტრის ფარგლებში ჩატარდა CE-ის კურსი, რომელიც გულისხმობს პროგრამულად, PBL ქეისის შინაარსთან შესაბამის ავადმყოფთან (პაციენტი კარდიოლოგიური, სასუნთქი სისტემის, ა. შ. პრობლემით) კომუნიკაციის, გასინჯვის, წინასწარი დიაგნოზის, გამოკვლევის გეგმის შედგენის, ა. შ. საკითხებზე პრაქტიკულ „ვარჯიშს“ როლების (პაციენტი, ექიმი) გაცვლით; კურსის საბოლოო შეფასება გულისხმობს სიმულანტი პაციენტის გამოყენებით ფორმატირებულ გამოცდას. სტუდენტები (მათი გამოკითხვის შედეგების მიხედვით) კმაყოფილნი არიან და თვლიან, რომ იგი მათ ეხმარება ვირტუალური პაციენტის (PBL სესიაზე განხილული) პრობლემის/ების უკეთ აღქმასა და სასარგებლო იქნება მათი კლინიკური ეტაპის სასწავლო კურსებისთვის მომზადებაში [დასტურდება: ხუ ოქმი 5 (2016-2017 სასწ. წ. 18 მაისი)].

1.4. შეფასების კომპონენტში პროგრამის (შტატის) განვითარება

შეფასების კომპონენტში პროგრამის განვითარება გულისხმობდა აკადემიური საზოგადოების აზრის გათვალისწინებას (იხ.კურიკულუმის რევიზირების დანართი); ადმინისტრაციის მხრიდან პროცესზე დაკვირვებას [დასტურდება: საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების (2015-2016 სასწ. წ.) ანგარიშით), აგრეთვე მასწავლებელთა განვითარებას აღნიშნულ საკითხში. ამ კომპონენტში უნივერსიტეტსა და მისი დმ-ის პროგრამებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო ევროპის სამედიცინო განათლების შემფასებელთა ჯგუფში (EBMA) უნივერსიტეტის გაწევრიანება. შედგა დტსუ-სა და ამ ავტორიტეტულ ორგანიზაციასა და მის წევრებთან კომუნიკაცია. მაასტრიხტის უნივერსიტეტის ექსპერტების მიერ დტსუ-ს პედაგოგებისა და დაინტერესებული სტუდენტების ჯგუფში ჩატარდა ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა „მტკიცებულებებზე დაფუძვნებული შეფასების პრინციპებზე სამედიცინო განათლებაში“; სტუდენტის პროგრესის ზუსტი ტესტირებისთვის განხილულ იქნა ტესტის რაციონალურობისა და ვალიდურობის, ა. შ. საკითხებზე მათი შეფასების და გაზომვის მეთოდოლოგია; ჩატარდა აუდიტორიაში შექმნილ ჯგუფებში ვარჯიში ტესტის შეფასებაზე, ახალი ტესტების შექმნაზე; ასევე საგამოცდო ტესტის „ჩარჩოს“ შემუშვების საკითხებზე.
ტრენინგში მონაწილეობდა 30 პირი, რომლებზეც გაიცა შესაბამისი სერიფიკატები. დტუს-ს ადმინისტრაციასა და სგც-ის წინადადებით შეიქმნება შეფასების საკითხებზე სამუშაო ჯგუფი; ჯგუფში ჩართვის შეთავაზება მიიღო ყველა მონაწილემ. ჯგუფის მუშობას კონსულტირებას გაუწევენ საერთაშორისო ექსპერტები ანამარია ქამპი და კარლოს ფერნარდო ქოლარესი ხუ-ის სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა ტრენინგის მონაწილეთათვის კმაყოფილების კითხვარი, რომელიც ასევე ითვალისწინებდა აუდიტორიის მომავალი საჭროებების განსაზღვრას. გამოკითხვის შედეგებით ტრენინგით აუდიტორიის კმაყოფილების ხარისხის ძალზე მაღალია (დასტურდება ანგარიშით).

1.5. პროგრამების ახალი კურსების ანალიზი დიპლომირებული მედიკოსის კარიერული განვითარების შესაძლებლობათა გაზრდის და ტრანსკულტურალური კომუნიკაციის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით

1.5.1. 2016-2017 სასწავლო წელს დმ-ის სტუდენტებისთვის შემუშავდა „საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა“ სასწავლო მოდული; მასში ჩართულია ბიოლოგიის (2 კრედიტი), ქიმიის (2 კრედიტი) და ფიზიკის (2 კრედიტი) კურსები; მოდული არჩევითია, განსაზღვრულია სწავლების კლინიკური ან სპეციალიზაციია კურსის სტუდენტთათვის; კურსის მიზნები, ამოცანები, სარგებელი, ა. შ. აღწერილია კურსის სილაბუსში; ამასთან იგი შემუშვებულია სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებისა და მათი (სტუდენტთა) კარიერული ზრდისთვის მნიშვნელოვანი შემდეგი რეკომენდაციით:

- სტუდენტებისთვის ვინც აპირებს სამეცნიერო მოღვაწეობას - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ჩართვისა და შემდგომი განვითარებისთვის
- ევროპის ზოგ ქვეყნებში (მაგ: გერმანია) სარეზიდენტი პროგრამებსა და უნივერსიტეტის დამამთავრებელ კურსზე სწავლებაში ჩართვისთვის და/ან დიპლომის აღიარებისთვის
- მათთვის, ვისაც კლინიკური როტაციების გავლის შემდგომ სამედიცინო პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი კითხვები რჩება საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებში (დასტურდება სილაბუსებით).

1.5.2. გარკვეული ყურადღება დაეთმო უცხოელთა სწავლებაში ქართული ენის კურსის სილაბუსის რევიზირებას; ამასთან, დაიგეგმა და შემუშავდა უცხოელ მედიკოს-სტუდენტთა ქართული ენის სასწავლო პროგრამის პროექტი, რაც სასარგებლო იქნება მათთვის როგორც სოციალური, საუნივერსიტეტო და კულტურალური ადაპტაციის საშუალება; ასევე როგორც პროფესიულ საზოგადოებასთან (ექიმები, ექთნები, უნივერსიტეტებისა და კლინიკების სხვა შტატი) და პაციენტთან ურთიერთობაში პროგრესის საშუალება (დადასტუდება: დტსუ-ში იზნგლისურენოვანი უცხოელი სტუდენტების ქართულ ენაში სწავლების გაუმჯობესების ღონისძებათა ჩარჩო);

1.5.3. სტუდენტთა ინიციატივით შეიქმნა ქირურგიულ საბაზისო უნარ-ჩვევებში ქირურგიის ინტერესთა ჯგუფი და შემუშვდა ე. წ. peer-კურსი იმ სტუდენტთათვის, რომელებიც კარიერული ზრდისთვის არჩევანს ქირურგიის დარგსა და სპეციალიზაციებში გეგმავენ. ჩატარდა სწავლების პირველი რაუნდი: ტრენინგის ჩასატარებლად მოემზადა 4 სტუდენტ-ტუტორი და 3 სტუდენტ-ტუტორის ასისტენტი; ტრენინგს დაესწრო 41 სტუდენტი; სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ჯგუფის ტრენინგს (i) საინტერესოდ და სასარგებლოდ თვლიან სტუდენტები; შესაბამისად (ii) კურსი სასარგებლოა სტუდენტთა კარიერული არჩევანის და ზრდის თვალსაზრისით; (iii) უნივერსიტეტის მხრიდან ამ ჯგუფის მუშაობის ფინანსური და ადმინისტრაციული ხელშეწყობა უნდა გაგრელდეს. ასევე შემუშავდა რეკომენდაციების კურსის განვითრების მიზნით. კერძოდ განხორციელდეს: ა) ქირურგიის ინტერესთა ჯგუფის ორგანიზატორ-სტუდენტთა ინფორმირება გამოკითხვის შედეგებზე კურსის განვითრების („დროის განაწილება“ და „მენეჯმენტი“) შესაძლებლობათა ანალიზისთვის; ბ) ადმინისტრაციის ინფორმირება: (i) საჭირო ქირურგიული ინსტრუმენტების მოძიებისა და ჯგუფში მუშაობის გამოყენებისთვის; (ii) ჯგუფთნ მუშაობისთვის სხვადასხვა პროფილური სპეციალობების ქირურგთა მოწვევა საჭირო ქირურგიული პროცედურების ტექნიკური დეტალების, ტერმინოლოგიების, ა. შ. ტრენინგისთვის; გ) დტსუ-ს სტრატეგიული მართვისა და მენეჯმენტის ინფორმირება სტრატეგიული განვითრების გეგმაში ასახვის შესაძლებლობის განხილვისა და დაგეგმისათვის (პროექტი გაწერილი აქტივობებითა და ფინანსური უზრუნველყოფით) [დასტურდება: ხუ ოქმი 5 (2016-2017 სასწ. წ. 25 მაისი)]1.5.4. შემუშავდა პროექტი საზღვარგარეთ მოღვაწე დტსუ-ს კურსდამთავრებულებთან ერთად, აშშ-ში მე-6 კურსის

სტუდენტთა 1-2 თვიანი კურსების გავლისთვის; რაც მათ შორის ტრანსკულტურალური კომუნიკაციის განვითრების მეშვეობით ზრდის პროგრამის სტუდენტთა კარიერული არჩევანის გაკეთებასა და ასევე მათი კარიერული ზრდის ხელშეწყობის შესაძლებლობას, 2016-2017 სასწ. წელს აღნიშნულით ისარგებლა 18 სტუდენტმა (დადასტურება: მეექვსე კურსის სტუდენტთა აშშ-ში გავლილი არჩევითი კლინიკური კურსის შედეგები).

1.6. პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის ჩატარებული აქტივობები: სტრატეგიული დაგეგმარება, მარეგულირებელი დოკუმენტები, ფორმები, გზამკვლევები

1.6.1 შემუშვებულია და დამტკიცებულია დტსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა (მათ შორის ხუ-ის სამსხურის 2016-2017 წლის ანგარიშზე დაფუძვნებით (დადასტურება: სტრატეგიული გეგმა); ამასთან, ავტორიზაციის ახალი სტანდარტებიდან გამომდინარე მიმდინარეობს მის დახვეწაზე მუშობა (კონკრეტული პროექტები, ბიუჯეტირება, ა. შ.)

1.6.2. შემუშავდა სწავლას, კვლევასა და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში აკადემიური კეთლსინდისიერების დაცვის კონცეფცია (დტსუ-ს მიერ შეძენილი ახალი რესურსის - ინტერნეტზე დაფუძვნებული პლაგიატის პრევენციის სერვისი - ტურნიტის პროგრამის გათვალისწინებით); შესაბამისი ცვლილებები შევიდა სტუდენტთა შინაგანაწესში, აკადემიური პერსონალის შრომით შინაგანაწესში, ადმინისტრაციის თანამშრომელთა შრომით შინაგანაწესში; სადისერტაციო საბჭოს დებულებაში (დადასტურება: სწავლას, კვლევასა და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში აკადემიური კეთლსინდისიერების დაცვის კონცეფცია).

1.6.3. დოქტორანტთა პროგრამისთვის რევიზირდა არსებული და/ან შემუშავდა ახალი ფორმები; ასევე ერთ დოკუმენტად შეიკრა - დტსუ-ში სადოქტორო სწავლების პროგრამაში - საკონკურსო საბუთების წარდგენის გზამკვლევი.

- დაწყებულია მუშაობა დტსუ-ს დოქტორანტის გზამკვლევზე; შექმნილია კონცეფცია, რევიზირებულია რიგი თავები.
- შემუშვებული და დამტკიცებულია სადოქტორო კომიტეტზე სადოქტორო კვლევითი მიზნებისთვის საპროექტო განაცხადის შემუშავების გზამკვლევი და შეფასების ფურცელი
- შემუშვებული და დამტკიცებულია სადოქტორო კომიტეტზე სადოქტორო-კვლევითი პროექტის შემუშავების გზამკვლევი და შეფასების ფურცელი
- შემუშვებული და დამტკიცებულია სადოქტორო კომიტეტზე აკადემიურ საბჭოზე დოქტორანტის პროექტის პრეზენტაციის შაბლონი [დადასტურება: სადოქტორო კომიტეტის ოქმი 12 (8 ნოემბერი 2016-2107 სასწ. წ.].

1.7. პროგრამათა ცნობადობისა და ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებათა ანალიზი

1.7.1. პროგრამის (დმ ე-პდს) ცნობადობის გაზრდისთვის დაგეგმილი და ჩატარებული ღონისძიებები

საყოველთაოდ მიღებულია, რომ სამედიცინო განათლებაში PBL სხვადასხვა ფორმატების გამოყენებით სწავლება და სწავლა აკადემიური თვალსაზრისით არა მხოლოდ მისაღებია, არამედ სტუდენტთა რიგი კომპეტენციების (მაგ: კლინიკური განსჯა, გადაწყვეტილების მიღება, ჯგუფური მუშაობა, ა. შ.) გამომუშვებისთვის უაღრესად სასარგებლოა. ამასთან, მიუხედავად საერთაშორისო აღიარებისა, ცნობადობა ამ საგანმანათლებლო რესურსის შესახებ ჯერ კიდევ ძალზე სუსტია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში; შესაძლოა მათ შორის მისი იმპელემენტაციისთვის საჭირო ნაბიჯების და რესურსების მომზადების შესახებ ქართულ აკადემიურ საზოგადოებაში მზაობის ნაკლებობის გამო. ამას (ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ნაკლებ ცნობადობას) გავლენა აქვს ზოგადად ქართულ საზოგადოებასა და ქართველ აბიტურიენტთა და სტუდენტთა არჩევანზე („არ იციან“, ამიტომ „არ ირჩევენ“ და/ან „ფრთხილად“ ეკიდებიან); ეს თავის მხრივ ერთგვარად „აზარალებს“ პროგრამას მისი „კონკურენტუნარიანობის“ თვალსაზრისით; შესაბამისად, ჩვენი აზრით, საგანმანათლებლო სივრცეში PBL ფორმატში მუშაობაში გამოცდილების გაზირება სხვა უნივერსიტეტებისთვის მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე სწავლებისა და სწავლის ამ ფორმატის „დამკვიდრებისთვის“, რაც ასევე სასარგებლო იქნება დმ ე-პდს პროგრამისთვის მისი განვითრების შესაძლებლობისთვის.

ამ მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებებია:

- დტსუ-ის სამედიცინო განათლების ცენტრი აგრძელებს PBL საკითხებზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (აწსუ) თანამშრომლობას. კერძოდ: აწსუ-ს მიერ ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში ორგანიზაციული ხელშეწყობა და აქტიური მონაწილეობა; სესიების ხელმძღვანელობა, 4 ზეპირი მოხსენება, კონფერენციის ფარგლებში ვორქშოფის ორგანიზება და ჩატარება (იხ. დანართი 27).
- ნიუ-ვიჟენის უნივერსიტეტთან სამუშო შეხვედრები და ვორქშოფი: PBL ფორმატში სწავლების, სწავლის და შეფასების დაგეგმვის (დადასტურება: დღის წესრიგი).

1.7.2. სადოქტორო სწავლებაში ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები

- დტსუ აგრძელებს მონაწილეობას ევროპულ სისტემაში ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებებში სადოქტორო სწავლების ორგანიზაციის მუშაობასა და კონფერენციების ორგანიზებაში. ამ ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტანდარტების საქართველოში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით ნათარგმნია, რედაქტირებული (ქართულ

კანონმდებლობასთან ადაპტაციის მიზნით) და ბეჭდური ვერსიის გამოცემისთვის მზადაა ამ ორგანიზაციის მიერ შემუშვებული დოკუმენტი „PhD სწავლების საუკეთესო პრაქტიკა“ (დადასტურება: დოკუმენტი-„PhD სწავლების საუკეთესო პრაქტიკა“).

1.7.3. PR და მარკეტინგის დეპარტამენტმა ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდის მიზნით აბიტურიენტთათვის ჩაატარა 8 ღია კარის დღე; წარადგინა უნივერსიტეტი 4 საგანმანათლებლო გამოფენაზე (ერთი ქვეყნის შიგნით, სამი საზღვარგარეთ); აბიტურიენტთა დახმარების და მოტივაციის ხელშეწყობისთვის ჩაატარა 2 სემინარი და 7 პირველადი დახმარების ტრენინგი; ახალბედა სტუდენტთათვის მოაწყო 4 საორიენტაციო დღე და ახალწვეულთა ღონისძება. მონაწილეობა მიიღო რუსთავის კამპუსის გახსნისა და საახალწლო ღონისძიებაში, ასევე ორგანიზება გაუკეთა (2 ჯერ) თეთრი ხალათების ცერემონიას; ხელი შეუწყო რიგ საზოგადოებისათვის სასარგებლო ღონისძიებებსა (ხეების დარგვა, ძუძუს კიბოს სკრინინგ ცენტრის აქტივობებს), ასევე სპორტულ ღონისძიებებს და მათში სტუდენტთა ჩართულობას.

2. უნივერსიტეტის ხარისხის გარე შეფასებისთვის განხორციელებულ ღონისძიებათა ანალიზი

უნივერსიტეტმა 2016 წლის 17 ოქტომბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიტანა განაცხადი სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის (1000 მდე) თაობაზე. 2016 წლის ნოემბერში ჩატარდა ექსპერტთა ვიზიტი უნივერსიტეტში და 2016 წლის 13 დეკემბერს ავტორიზაციის საბჭომ სრულად დააკმაყოფილა უნივერსიტეტის თხოვნა (დადასტურება: უს-ის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ექსპერტთა მიერ შევსებული კითხვარი და გადაწყვეტილება №28; 13.12.2016).

ძლიერი მხარეები - განათლების ხუ-ის ცენტრის დადებით შეფასება

განვითარების შესაძლებლობები: კონტიგენტის გაზრდის პირობებში მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ხარისხის შემდგომ განვითარებაზე ზრუნვა.

3. აკადემიური პერსონალის არჩევნები

აკადემიური პერსონალის უფლებამოსილების ვადის გაასვლის მიზეზით უნივერსიტეტმა დაგეგმა და განახორციელა ახალი არჩევნები;

დაწესებულებაში პერსონალის მიღების და დათხოვნის წესი ადაპტირდა 2015 წლის 27 ნოემბერს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან (არჩევის ვადა და პირობები). არჩევნები ჩატარდა ეროვნული და საუნივერსიტეტო მოთხოვნების სრული დაცვით; დაცულია როგორც ვადები, ასევე პერსონალის მიღებისთვის სათანადო

კვალიფიკაციისა და კომპეტენციების მოთხოვნები; შემოსული იყო 111 საკონკურსო ადგილზე 63 განცხადება (დადასტურება: საკონკურსო კომისიის ოქმები).

ძლიერი მხარეები - არჩევნების დაგეგმვა და ჩატარება საკონკურსო პირობების, ვადების, სხვა ფორმალური პირობების სრული დაცვით.

განვითარების შესაძლებლობები

- საკონკურსო ადგილების განსაზღვრის შესახებ არგუმენტირებული დებულების შემუშვება
- შტატის განვითარების (სწავლებისა, კვლევისა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში) ხელშემწყობი ახალი სტრატეგიების მოძიება

4. უნივერსიტეტში სწავლების/სწავლისა და კვლევის გარემოს განვითარებისთვის დადებული ახალი ხელშეკრულებები

1. სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
   ხელშეკრულების საგანი: ბიოსამედიცინო და ჯანდაცით მეცნიერებებში სასწავლო და სამეცნიერო კვლევით სივრცეში ურთიერთანამშრომლობაზე
2. „ჰორმონების და მეტაბოლიზმის ცენტრი“, გერმანია
   ხელშეკრულების საგანი: ენდოკრინოლოგიის მიმართულებით ურთიერთანამშრომლობა დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ განათლებაში
3. ანდერსონის კიბოს ცენტრი, ტეხასის უნივერსიტეტი
   ხელშეკრულების საგანი: სამეცნიერო, საგანმანათლებლო გამოცდილების ინტერშიპის პროგრამის შემუშვება და მიწოდება დტმუ-ს სხვადასხვა პროგრამების სტუდენტებისათვის
4. ვენის სამედიცინო უნივერსიტეტი. პათოფიზიოლოგის, ინფექციური და იმუნოლოგიის ცენტრი
   ხელშეკრულების საგანი: თანამშრომლობა სამედიცინო მოლეკულური იმუნოლოგიის, ალერგოლოგიის და სამედიცინო გენეტიკის ერთობლივი სამეცნიერო კვლევების მიმართულებით პოსტდიპლომურ სამედიცინო განათლებაში
5. შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“
   ხელშეკურლების საგანი: აკრედიტირებული პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა პრაქტიკული და თეორიული მზადების სფეროში თანამშრომლობა
6. შპს ჩიჩუების სამედიცინო ცენტრი „მზერა“
   ხელშეკურლების საგანი: სამეცნიერო მიმართლებით, სტუდენტთა პრაქტიკული და თეორიული მზადების სფეროში თანამშრომლობა

ძლიერი მხარეები: უნივერსიტეტის ზრუნვა განსხვავებული სერვისების მიმწოდებელ სამკურნალო დაწესებულებებთნ კომუნიკაციასა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესებაზე.

განვითარების შესაძლებლობები: უნივერსიტეტის პარტნიორ დაწესებულებების სიღრმისეული ანალიზი (პაციენტთა კატეგორიების, სერვისების, ამბულატორიული, გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული ბრუნვის მაჩვენებლები, ექიმები ხარისხის განვითარებსა და პაციენტის უსაფრთხოებაზე გამიზნული აქტივობები და პრაქტიკები, ა. შ.)

5. უნივერსიტეტში მისაღები კონტიგენტის დაგეგმვასა და ჩარიცხვასთან დაკავშირებული სიტუაციის ანალიზი

ანალიზის მიზანია უნივერსიტეტის მიერ ქართველ და უცხოელ აბიტურიენტთა მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშვებისთვის რეკომენდაციების ფორმირება.

აღნიშნული გულისხმობს ქართველი და უცხოელი აბიტურიენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით სიტუაციის ცალ-ცალკე (ქართველი, უცხოელი) ანალიზს შემდეგი გარემოებების გამო: კონტიგენტები განსხვავდებიან ჩარიცხვის წესის, მოთხოვნების, გადასახადის ოდენობის მიხედვით. ასევე უნივერსიტეტის მისიის, მიზნების, ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებების მიმართ „ვალდებულებების“ თვალსაზრისით; რაც ერთის მხრივ

(i) გულისხმობს საერთაშორისოდ მოთხოვნილი დონის კადრის მომზადებას (სავალდებულო როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტისთვის), ასევე

(ii) საერთაშორისო ხარისხის დონეზე მომზადებული კადრით ქართული პროფესიული და ზოგადად საზოგადოების უზრუნველყოფას (შევსებას)

(iii) ქართული საგანმანათლებლო სივრცის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის (საქართველოს მთავრობის კურსი განათლებასთან მიმართებაში) შეძლებისდაგვარად ხელშეწყობას

(iv) ინგლისურენოვანი კონტიგენტის განსაზღვრის მიდგომაში სახელმწიფო გრანტისა და ქართველი სტუდენტისთვის გადასახადში „შეღავათის“ ხელშეწყობის, ასვე უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების გათვალისწინება

ზ/ა-ის გათვალისწინებით დაიგეგმა შემდეგი ორი ამოცანა:

(I) უნივერსიტეტის მიერ ქართველ აბიტურიენტთა მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის დეკანატის მიერ დაგეგმილი და ჩატარებული კვლევის „2016-2017 სასწ. წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ანალიზი სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებასთან მიმართებაში“ ანგარიშის შედეგების ანალიზი (დადასტურება: ანგარიში).

ძლიერი მხარეები:

- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ „ქართველ და უცხოელ აბიტურიენტთა მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშვების“ მნიშვნელობის გაცნობიერება
- კვლევის მიზნების შესაბამისი დიზაინის, მასალის (ინფორმაცია, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, ა. შ.) გამოყენება; შედეგების შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები
- კვლევის დიზაინის ფორმის მომავალში კვლევებისთვის გამოყენების შესაძლებლობა

სუსტი მხარეები:

- მხოლოდ ერთი სასწავლო წლის შედეგების განსჯა (ზოგ კატეგორიაში „მცირე რიცხვების“ გამო. დასკვნები შემდგომ დაკვირვებას საჭიროებს „მტკიცებისთვის“)
- მოტივაციური ფაქტორის სიღრმისეული განსჯის შეძლებლობა

განვითარების შესაძლებლობები:

- არსებული დიზაინით კვლევის გაგრძელება
- აბიტურიენტთა ჯგუფებთან ჩატარებული მუშაობის კონტექსტში კვლევის შედეგების განსჯა, მისი კორეგირების (აბიტურიენტებთან კომუნიკაცია) მიზნით
- თანმიმდევრული კვლევებით მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვის დასაბუთება (მეტ მტკიცებულებებზე დაფუძვნებით)

(II) უნივერსიტეტის მიერ უცხოელ აბიტურიენტთა მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგისთვის:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უცხოელ აბიტურიენტთა დტსუ სასწავლო პროგრამაში ჩარიცხვის კრიტერიუმებისა და მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის/დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავების რეკომენდირების მიზნით ჩაატარა ამ მიმართულებით დტსუ-ის წესების/მარეგულირებელი დოკუმენტების, არსებული პროცესის წარმოების, შესრულებული სამუშოების შესწავლა და ანალიზი. მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა კვლევის შემდეგი ამოცანები:
(1) უცხოელ სტუდენტთა სასწავლო პროგრამებში ჩარიცხვის კრიტერიუმების, ჩარიცხვის პროცესის და პირობების ამსახველი, ჩართულ პირთა საქმიანობის წესის და ვალდებულებების განმსაზღვრელი დოკუმენტები: შესწავლა, ანალიზი, რეკომენდაციები
(2) უცხო ქვეყნის აბიტურიენტთა აპლიკაციების შეფასების მეთოდოლოგია ჩარიცხვის გადაწყვეტილების შესაძლებლობის განხილვით: შესწავლა, ანალიზი, რეკომენდაციები
(3) უცხოელ აბიტურიენტთა შერჩევისთვის (და არჩევანის შესაძლებლობისთვის) სპეციალურ „აგენტებთან“ კომუნიკაციის წესის, ფორმის, სხვა დაკავშირებული საკითხების: შესწავლა, ანალიზი, რეკომენდაციები
(4) შესრულებული სამუშაოს ანალიზი

(5) კონტიგენტის განსაზღვრის, პროცესის დაგეგმვისა და რეალიზაციის რეკომენდაციები

I. უცხოელ სტუდენტთა სასწავლო პროგრამებში ჩარიცხვის კრიტერიუმების, ჩარიცხვის პროცესის და პირობების ამსახველი, ჩართულ პირთა საქმიანობის წესის და ვალდებულებების განმსაზღვრელი დოკუმენტების შესწავლამ აჩვენა, რომ დტსუ-ს წესებსა/მარეგულირებელ დოკუმენტებში ძალზე მწირია ინფორმაცია ყველა აღნიშნულთან დაკავშირებით; კერძოდ ჩვენი დოკუმენტები პრაქტიკულად იმეორებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულს; მასში არ არის ასახული ჩარიცხვისთვის განსაზღვრული კრიტერიუმები, პროცესის წარმოება, ასევე ჩართულ პირთა საქმიანობის წესი და/ან ვალდებულებები

რეკომენდაცია

(i) დტსუ-ში უცხოელ დიპლომირებული მედიკოსის სასწავლო პროგრამაში ჩართვის მსურველ უცხოელ აბიტურიენტთა ჩარიცხვის კრიტერიუმების ასახვა სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტის მობილობის წესის დოკუმენტში (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სტუდენტის სტატუსის მოპოვების ნაწილში)

(ii) შესაძლოა (იურიდიულ დეპარტამენტთან კონსულტაციით) ჩარიცხვის კრიტერიუმების განმსაზღვრელი წესის შესახებ (ყველა კატეგორიის აბიტურიენტებისთვის) ცალკე დოკუმენტის შექმნა

(iii) შეიქმნას ჩართულ პირთა საქმიანობის წესის და ვალდებულებების და პროცესის ამსახველი დოკუმენტი

II. უცხო ქვეყნის აბიტურიენტთა აპლიკაციების შეფასების მეთოდოლოგია ჩარიცხვის გადაწყვეტილების შესაძლებლობის განხილვით: შესწავლა, ანალიზი, რეკომენდაციები.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა დტსუ-ში საკითხთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა. შემთხვევითი შერჩევის გზით გაისინჯა დტსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში ჩართვის მსურველ უცხოელ აბიტურიენტთა აპლიკაციები, განცხადება, თანდართული დოკუმენტაცია. ყველა შესწავლილ შემთხვევაში ასეთი (ზ/ა დოკუმენტაცია) არსებობს, მათ შორის ჩარიცხვის რეკომენდირების უფლების მქონე პირთა (დეკანი, დეკანის მოადგილე) შეფასებით. შეფასება გულისხმობს აბიტურიენტის ზოგადი განათლების პერიოდში მიღებულ შეფასებებს, ანალიზს, მათ შორის მაპროფილებელ (სამედიცინო განათლებისთვის) და ინგლისურ ენაში; გულისხმობს ასევე რეკომენდაციას ჩარიცხვის შესაძლებლობაზე აბიტურიენტის ინდივიდუალურ პრობლემასა/სისუსტეზე ფოკუსირებით, რომელსაც გავლენა შეიძლება ჰქონდეს მის მომავალ აკადემიურ პროგრესზე.

საკითხის შესწავლამ ასევე აჩვენა, რომ კონკურსის არ არსებობის პირობებში (ადგილების და მსურველთა თანაფადრობა), და შემზღუდველი კრიტერიუმების არ არსებობისას (მაგ: წინა განათლებაში მიღებული მაღალი აკადემიური მოსწრება) პრაქტიკულად ყველა განცხადება დაკმაყოფილდა, რაც ზოგადად ჩვენი აზრით არაგონივრულია, იწვევს უნივერსიტეტის

ადამიანური რესურსის (უპირველეს ყოვლისა პედაგოგები) არაეფექტურ გამოყენებას, ა. შ. შესაბამისად ჩვენი რეკომენდაციაა:
(i) აისახოს აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების მიზნით აპლიკანტთა მონაცემთა (მათ შორის აკადემიური მოსწრების) შეფასების არსებული პრაქტიკა დოკუმენტურად
(ii) შეფასების კრიტერიუმები ამ ეტაპისთვის (კონკურსის არ არსებობა) გაიწეროს არსებული პრაქტიკის ფარგლებში, როგორც შესაძლებელი, დასაშვები, მინიმალური მოთხოვნით; ასევე შედგეს სამომავლო გაუმჯობესების შესაძლებლობის გეგმა: კონკურსის პირობებში საუკეთესოთა შერჩევის კრიტერიუმები (საუკეთესო საგანმანათლებლო პრაქტიკასა და კვლევებზე დაფუძვნებით)

III+IV. უცხოელ აბიტურიენტთა შერჩევისთვის (და არჩევანის შესაძლებლობისთვის) სპეციალურ „აგენტებთან“ კომუნიკაციის წესის, ფორმის, სხვა დაკავშირებული საკითხების შესწავლისა და ჩატარებული სამუშოს ანალიზისთვის გამოყენებული იქნა შემდეგი ინფორმაცია:
(i) უცხოელი სტუდენტების უნივერსიტეტში სწავლისთვის მოსაზიდად გამოყენებულ აგენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები და ურთიერთვალდებულებები
(ii) აგენტების მიერ შესრულებული სამუშაო: აგენტების მიერ აბიტურიენტთა მხარდამჭერი ღონისძიებები (ვიზის მიღების ხელშეწყობა, ა. შ.), აგენტების დახმარებით უნივერსიტეტში შემოსულ აპლიკაციათა და/ან ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი

- (i) კონტრაქტში მეტ-ნაკლებად ნათლადაა წარმოდგენილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. ამასთან კონტრაქტის მთავარი ნაკლი (ჩვენი აზრით) მდგომარეობს „ვადების“ არ განსაზღვრასა და რამოდენიმე „ბუნდოვან“ საკითხში, რომელსაც გავლენა შეიძლება ჰქონდეს უნივერსიტეტისთვის უმნიშვნელოვანეს ორ საკითხზე: 1) სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე და არაპირდაპირ 2) უნივერსიტეტის ფინანსურ მდგრადობაზე. მხარე-აგენტი (ან კომპანია) პრაქტიკულად „თავისუფალია“ ვადებისა და მისი დაცვის ვალდებულებისგან. მეტიც უნივერსიტეტის მხარე (და მათში მონაწილე პირები), მაღალი ინტერესის მიუხედავად ასევე თავისუფალია „ვადებისგან“; ანუ რა ვადაში განიხილავს აბიტურიენტის მონაცემებს (დადასტურება: ხელშეკრულების ფორმა), თანხმობის წერილის გაცემას (დადასტურება: ხელშეკრულების ფორმა), წარდგენას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (დადასტურება ხელშეკრულების ფორმა), „მოწვევის წერილის“ მომზადებას. ეს მნიშვნელოვანია, იძლევა ჩართულ პირთა მიერ ჩატარებული სამუშოს შეფასების საშუალებას, განსაკუთრებით იმ პირობებში როცა „საკითხის მოგვარებაში“ ასევე მონაწილეობს ორი აქტორი: სტუდენტობის მსურველი (რომელმაც შეიძლება შეცვალოს გადაწყვეტილება, მიმართოს სხვას, დააგვიანოს, არ მიაკითხოს დროულად ვიზისთვის, ა. შ.) და განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრი, რომელზეც ზემოქმედება (მაგ. „დაჩქარება“) უნივერსიტეტს არ შეუძლია (ანუ პრაქტიკულად არის „მაღალი გავლენის და დაბალი ინტერესის აქტორი“).

წესებსა და რეგულაციაში არ ასახვის პირობებში ხელშეკრულების სხვა „ბუნდოვან“ საკითხებად რჩება შემდეგი:
- ხელშეკრულება არ განიხილავს „უარის“ შემთხვევას (დადასტურება: ხელშეკრულების ფორმა)
- აგენტისთვის „ყოველწლიური“ გადასახადი (დადასტურება: ხელშეკრულების ფორმა) არ განიხილავს შემთხვევებს თუ სტუდენტი „გადავიდა“; სტუდენტს არაკეთილსინდისიერი, არაეთიკური და/ან აკადემიური პროგრესის შეუძლებლობით უნივერსიტეტმა შეუწყვიტა სტატუსი, ასევე დამატებითი სემესტრის აღების, ავადმყოფობის და სხვა შემთხვევაში; ჩვენი აზრით ასეთის ხელშეკრულებით „არ გათვალისწინება“ მაღალ ფინანსურ რისკს შეიცავს ან „აგენტთან“ მომავალ ურთიერთობაში „პრობლემებს“ ქმნის და „კონტრაქტის“ შეწყვეტის პირობებშიც კი რჩება ამ საქმიანობაში (აბიტურიენტთა ძიება) ჩართული დტსუ-ს „არაკეთილმოსურნე“ პირები, რომელსაც კონტრაქტი აღარ ავალდებულებს უნივერსიტეტის იმიჯსა და ავტორიტეტზე ზრუნვას, აქედან გამომდინარე შედეგებით.
ბუნდოვანია ვის აძლევს პირველი წლის გადასახადის ორად გადახდა (დადასტურება: ხელშეკრულების ფორმა) „შეღავათს“; დაფიქრებაა საჭირო ხომ არ ვიღებთ პოტენციურ სტუდენტს (უცხოელს), რომელსაც ფინანსური პრობლემები მთელი სწავლის პერიოდში ექნება?
არ არის აღნიშნული ეხმარება თუ არა აგენტი სტუდენტს ვიზის საკითხის მოგვარებაში.
ყველა ზ/ა-ს ასევე გავლენა აქვს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე (აკადემიური და ფინანსური კუთხით); კერძოდ დროის ფარგლების დადგენა აუცილებელია, რათა უნივერსიტეტმა აბიტურიენტის ჩარიცხვის გადაწყვეტილების შემთხვევაში სასწავლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე და მისგან დამოუკიდებელი პროცედურების (სტუდენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, აგენტი) ხანგრძლივობის გათვალისწინებით განსაზღვროს როდის იქნება სტუდენტი სწავლაზე დაშვებული - სასწავლო წლის პირველ თუ მეორე სემესტრში.

(ii) აგენტების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ მონაცემები ასეთია: უცხოელ სტუდენტთა დტსუ-ში პირველი „ჩარიცხვიდან“ დღემდე სულ 390 სტუდენტი ფიქსირდება, აქედან 322 ჩაირიცხა აგენტის მეშვეობით განხორციელდა, 68 -თვითდინებით; რაც ნიშნავს, რომ აგენტების მეშვეობით ხორციელდება დიდი სამუშაო (უცხოელ სტუდენტთა მხოლოდ ≈17% მოგვმართავს პირდაპირ), რომელსაც იმგვარი ხელშეწყობა და ორგანიზება სჭირდება, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს როგორც აკადემიური თვალსაზრისით ასე ხარჯთ-ეფექტურობის ზრდის თვალსაზრისით სასწავლო პროცესის დაგეგმვის საშუალება.
შესაბამისად ჩვენი რეკომენდაცია:
- კონტრაქტის მხარეთა უფლება-მოვალეობებში გაიწეროს ვადები და დაზუსტეს რიგი ბუნდოვანი საკითხები
- დტსუ-ს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში სათანადოდ (იხ. ზ/ა) განიმარტოს აგენტის ცნება, აისახოს მათთან ურთიერთობის პროცედურა და პროცესში ჩართულ პირთა ვალდებულებები

- შემუშავდეს უცხოელ აბიტურიენტთა ჩარიცხვის პირობები (ან ამ პირობებში აისახოს) სასწავლო პროცესის აკადემიური და ხარჯთეფექტური დაგეგმვის გათვალისწინებით.

V. კონტიგენტის განსაზღვრის, და პროცესის დაგეგმისთვის არსებობს წესები (პრაქტიკულად მხოლოდ კონტრაქტი, იხ. ზემოთ) და პრაქტიკა, რომელსაც ამ ეტაპზე აღწერა (წესები, მარეგულირებელი დოკუმენტები, ა. შ.) სჭირდება; ჩატარებული სამუშაოს ანალიზი და რეკომენდირების შესაძლებლობა მოითხოვს ყველა ამ წესის დადგენას, პროცესზე მონიტორინგს, აკადემიურ და ფინანსურ ანალიზს, რაც ხარისხის უზრუნველყოფის მომავალი წლის გეგმაში აისახება.
ამ ეტაპზე უცხოელ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება მოითხოვს ზ/ა რეკომენდაციების განხორციელებას;

ძლიერი მხარეები:

- ქართველ და უცხოელ აბიტურიენტთა განსაზღვრის მეთოდოლოგიაზე მუშაობის დაწყება;
- დაგეგმვის მეთოდოლოგიაში უნივერსიტეტის მისიის, მიზნების, ვალდებულებების სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობის და უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის მოთხოვნათა კუთხით დაბალანსებული მიდგომის აუცილებლობის გაცნობიერება

განვითარების შესაძლებლობები

- უნივერსიტეტში მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტის (ქართველი და უცხოელი აბიტურიენტები) განსაზღვრის არგუმენტირებული მეთოდოლოგიის შემუშავება.
    - კერძოდ, 1) ქართველ აბიტურიენტებთან მიმართებაში:
- არსებული დიზაინით კვლევის (პირველკურსელ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების კონტექსტში) გაგრძელება
- აბიტურიენტთა ჯგუფებთან ჩატარებული მუშაობის კონტექსტში კვლევის შედეგების განსჯა, მისი კორეგირების (აბიტურიენტებთან კომუნიკაცია) მიზნით
- თანმიმდევრული კვლევებით მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვის დასაბუთება (მეტ მტკიცებულებებზე დაფუძვნებით)

2) უცხო ქვეყნის აბიტურიენტებთან მიმართებაში:

- დტსუ-ში უცხოელ დიპლომირებული მედიკოსის სასწავლო პროგრამაში ჩართვის მსურველ უცხოელ აბიტურიენტთა ჩარიცხვის კრიტერიუმების ასახვა სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტის მობილობის წესის დოკუმენტში (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სტუდენტის სტატუსის მოპოვების ნაწილში)

- შესაძლოა (იურიდიულ დეპარტამენტთან კონსულტაციით) ჩარიცხვის კრიტერიუმების განმსაზღვრელი წესის შესახებ (ყველა კატეგორიის აბიტურიენტებისთვის) ცალკე დოკუმენტის შექმნა
- ჩართულ პირთა საქმიანობის წესის და ვალდებულებების და პროცესის ამსახველი დოკუმენტი
- აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების მიზნით აპლიკანტთა მონაცემთა (მათ შორის აკადემიური მოსწრების) შეფასების არსებული პრაქტიკის დოკუმენტურად ასახვა
- შეფასების მინიმალური კრიტერიუმების გაწერა (კონკურსის არ არსებობის პირობებში); შერჩევის სასურველი კრიტერიუმები (კონკურსის პირობებში, განსაზღვრული საუკეთესო საგანმანათლებლო პრაქტიკასა და კვლევებზე დაფუძვნებით)
- „აგენტთან“ კონტრაქტის ფორმაში მხარეთა უფლება-მოვალეობების შესაბამის პუნქტებში ვადების გაწერა და რიგი ბუნდოვანი საკითხების დაზუსტება
- დტსუ-ს შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში აგენტის ცნების განმარტება, მათთან ურთიერთობის პროცედურის და პროცესში ჩართულ პირთა ვალდებულებების ასახვა
- უცხოელ აბიტურიენტთა ჩარიცხვის პირობების შემუშვება სასწავლო პროცესის აკადემიური და ხარჯთეფექტური დაგეგმვის გათვალისწინებით.

სამუშაო ჯგუფის წევრები: დტსუ-ის ხუ სამსახურის ხელმძღვანელი თ. თალაკვაძე, ხუ-ის ჯგუფის წევრები: პროფესორი დ. კასრაძე, მე-3 კურსის სტუდენტი რ. რუსია, დოქტორანტი ლ. ნადაშვილი, კურსდამთავრებული ა. ნადირაძე;